წელიწადი 1-ლი    ტელეფონი № 76.    სამშაბათი 30 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურათ . . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა იმყოფება ქუთაისში, [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე [illegible]
ღირს . . . 25 კ. [illegible]
უკანასკნელ გვერდზე 15 [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ [illegible]
[illegible]

№ 40    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 40

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან 29 მაისიდან ახალი საუცხოვო პროგრამა

გრიშკა რასპუტინის

სიკვდილი დრამა 4 ნაწ. 1 სერია. 1 ნაწ. ცოდვის ჩადენა. 2 ნაწ. უბიწოების ნიღაბის ქვეშ. 3 ნაწ. ის, რაზედაც სდუმან. 4 ნაწ. გამცემის სიკვდილი.
კომედია 2 მოქ. — შეიკრიბეთ ქალებო! — კომედია 2 მოქ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან 29 მაისიდან ნაჩვენები იქნება ახალი საუცხოვო პროგრამა

გრიშკა რასპუტინის

სიკვდილი დრამა 4 ნაწ. 1 სერია 1 ნაწ. ცოდვის ჩადენა. 2 ნაწ. უბიწოების ნიღაბის ქვეშ; 3 ნაწ. ის, რაზედაც სდუმან, 4 ნაწ. გამცემის სიკვდილი.

შეიკრიბეთ ქალებო!

ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კომიტეტის ნება დაურთველათ ქ. ქუთაისიდან შაქრის და პურის ფქვილის გატანა მიუხედავად რაოდენობისა აღკრძალულია. ქუთაისიდან გუბერნიაში შეიძლება უნებართვოთ გატანა: გამომცხვარი პურისა არა უმეტეს 10 გირვანქისა. ბუბლიკის, კრენდილის და ყველის არა უმეტეს 5 გირვანქისა.

ამ განკარგულების დამრღვევნი, გარდა იმისა რომ მათ უსასყიდლოთ ჩამოერთმევათ გასატანათ დამზადებული სანოვაგე, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის 29 მ-ს ძალით.

სატახტო ქალაქის ცირკი მმ. ჯუგელუკეპისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



სამშაბათს 30 მაისს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული ატლეტიურ-სასპორტო წარმოდგენა, რომელიც შესდგება ცირკის საუკეთესო რეპერტუარისაგან.

უკანასკნელი გასტროლები

გამოჩენილ ბელგიელთა დასისა

5 კლიკემტი

1 გამოსვლა წითელი პირ-ბადოსანისა.

10 დღეა საერთაშორისო ჩემპიონ ქალთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს გაიმართება მეტად საინტერესო ჭიდაობა. 1. წყვილი წითელი პირ-ბადოსანი და პოლონეთის ჩემპიონი ქალი იანკოვი. 2. წყვილი 2 საუკეთესო მოჭიდავე, ვინ-ვის? თურქესტნის ჩემპიონი ქალი სულეიმანისა და მცირე აზიის ჩემპიონი ქალი ანათემა. 3 წყვილი შვეციის ჩემპიონი ქალი აზელკროტი და პრიბალტის მხრის ჩემპიონი ქალი რობოსტონი.

წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. დასაწყისი ჭიდაობისა 10 საათზე.

ანონსი: მზადდება გრანდიოზული ბენეფისი გამოჩენილთა დასისა 5 კლიკემტი

# დღეს:

**წერილები:**

ვ. წერეთელი—სოც. ფედერალ. და სოციალ-დემოკრატები.
გ. ქიქოძე—დამფუძნებელი კრება და საქართველო.
ვ. წერეთელი—„თაგუნა“-ს ჰუმორი.
რეს—საერთაშორისო მდგომარეობის მაგიერ.
ჯიხ—ომი.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. რუსეთი. უცხოეთი. საპროტესტო დეპეში ბენეშევიჩს და სალამი კათალიკ.-მოსაყდრე ლეონიდეს. სუხომლინოვის საქმე. ეროვნული კითხვა. საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. მოწერილი ამბები. რუსეთი. წერ. რედ. მიმართ. ახალი ამბავი.

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

### რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია იწვევს სპეციალისტებს. რედაქცია

## სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ დემოკრატები.

სოციალისტ-ფედერალისტების კონფერენციის დადგენილებათა შემდეგ სოციალდემოკრატებს აღარ აქვსთ უფლება სთქვან, ფედერალისტები სოციალისტები არ არიანო.

ჯერ ერთი, უკანასკნელი იჯმენ ეროვნულ პოლიტიკური ავტონომიისაგან, რომელიც ოლქობრივ თვითმართველობამდის დაიყვანეს, მათ გადასცეს რუსეთის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოებს: არა თუ მარტო საგარეო პოლიტიკა და სამხედრო საქმეები, არამედ: საბაჟო, სავაჭრო, სავექსელო, სარკინიგზო საფოსტო, სატელეფონო, საბანკო და სხ. საქმეები, მუშათა უზრუნველყოფისა და სამოქალაქო უფლების, ფულის ზომის, წონის, საწყოთს სისტემის, გამოგონებათა აღმოჩენის, სისხლის სამართლის უფლების უმთავრესი ნაწილის კანონ მდებლობა და სხ

ამავე დროს მათ ჩამოსჭრეს საქართველოს: ბორჩალოსიც და ახალქალაქის მაზრები, ყარსის და ზაქათალის ოლქები და სხ. ერთი სიტყვით, ეროვნულ დროშას, რომელიც არჩილ ჯორჯაძეს ხელში ეჭირა ხელი უშვეს, სხვერპლად შესწირეს სოციალიზმს და უკიდურესი ეროვნული ნიჰილიზმი აღიარეს.

მაშ რითი განსხვავდებიან სოციალ-დემოკრატებისგან? მიწის სოციალიზაციის აღსარებით? მაგრამ თვით ტუგანბარანოვსკი. მეცნიერი მარქსისტი, სამართლიანად ამბობს: სოციალიზაცია —ერთ-ერთი ფორმაა ნაციონალიზაციისო. ნაციონალიზაცია კი, როგორც ვიცით, ლენინელთა მრწამსს წარმოადგენს და მცირეოდნად განსხვავდება მუნიციპალიზაციისაგან.

და ნუ თუ ამ მცირე განსხვავებამ უნდა გამოიწვიოს ორი სოციალისტური ჯგუფის გაყოფა?! ვფიქრობ, რომ ეს—მეტად ხელოვნური შეზღუდვა და, უეჭველია, მათს იდეურ ერთობას შედეგად მოჰყვება ორგანიზაციული შეერთებაც.

ამ შეერთებას კი დიდი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან მრავალ პარტიად დაწიწკნვა და დანაწილება ხელს უშლის რევოლუციის გამარჯვებასა და ხელს უწყობს ჩვენის ეროვნული ორგანიზმის პოლიტიკურ დაუძლურებას.

ვასილ წერეთელი.

## საერთო მიმოხილვის მაგიერ.

სამი წლის ომმა არსებითად შესცვალა საერთაშორისო მდგომარეობა და ძალთა განწყობილება. წინად მსოფლიო პოლიტიკას რამდენიმე დიდ სახელმწიფო ატრიალებდა და ამა. თუ იმ საერთაშორისო კითხვას დამოუკიდებლად სწყვეტდა. ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთი მხრით გერმანეთი, იტალიეთი და ავსტრო-უნგრეთი მეორე მხრით იყვენ საერთაშორისო საქმეთა ფაქტიური მწარმოებელნი. ამათ განაჩენს უმაღლესი ძალა ჰქონდა. ამერიკა და აზიური სახელმწიფონი ევროპის პოლიტიკაში ვერ ერეოდენ. ამ ხანად საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაებენ ამერიკა, იაპონია და თვით ავადმყოფად წოდებული ოსმალეთიც. ომმა შექმნა ისეთი პირობები, რომლის ძალით ევროპის აგრეთ წოდებული ძველი კონცერტი ირღვევა.

დღეს შეერთებული შტატები დიდ როლს იკუთვნებენ. უმთავრესად ამერიკის გავლენა გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს სესხის ძლევა დაუწყო. აი, სწორეთ ამ მომენტიდან გართულდა ურთიერთობა. ამერიკამ დიდძალი ოქრო დააბანდა მებრძოლ სახელმწიფოებში, მათი გადახდის გარანტია მას არ აქვს. მებრძოლნი სახელმწიფონი ამ მომენტში ამერიკას ვერაფრით ვერ ეხმარებიან. ნედლი ნაწარმოების შეზიდვა შეერთებულ შტატებში შეუძლებელი გახდა: ამის გამო ამერიკა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. მისი მეურნეობა შეფერხდა. ამერიკის ვაჭარ მრეწველნი დიდათ გაბრაზებულნი არიან იმ მოვლენით, რომ მათ თავის ნაწარმოებნი ტყუილად ულპებათ ბაზარი ვერ უშოვიათ, ვაჭარ მრეწველნი ვილსონს ემუდარებოდენ. რომ მას ჩაკეტილ ყოფისგან'' გამოსავალი გზა გამოენახა, რისთვისაც ისინი დიდ თანხის გაღებასაც აპირებდენ.

როგორც ვხედავთ, ომი ამერიკის ინტერესებს შეეხო. საჭირო გახდა ზომის მიღება. ამერიკა იძულებული შეიქმნა ომში გარკვეული პოზიცია დაეკავებია. კითხვა დაისვა ვის მიმხრობოდა ამერიკა. ომის მოგების ისარი გერმანეთისკენ უფრო იყო მიმართული ამერიკა გერმანეთის კავშირს უნდა შეერთებოდა მაგრამ ამერიკას სულ სხვა მიზანი და საჭიროება ჰქონდა. ზემოდ ვსთქვით, რომ ამერიკამ ბევრი ოქრო გაასესხათქო, ეს დიდძალი ოქრო თითქმის მარტო შეთანხმების სახელმწიფოებმა (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) მიიღეს. სჩანს ამერიკას არ შეეძლო მის „კრედიტორებთან“ შებრძოლება. ომის ჩქარი ლიკვიდაცია კი მისთვის აუცილებელი იყო. ვილსონმა ყოველივე ეს გაითვალისწინა და გერმანეთის კავშირს ომი გამოუცხადა. მომავალში სამშვიდობო კონგრესზე აშკარაა ამერიკა ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს და საერთაშორისო პოლიტიკის სწორუფლებიანი წევრი შეიქნება.

თავი წამოყო იაპონიამაც. იგი კარგა ხანია დიდ ბრიტანეთს მეგობრობდა, მხოლოდ მსოფლიო ომში ჩარევით „ევროპის“ საპატიო კონცერტში ხმა მიიღო. ასპარეზზე გამოვიდა ბევრი ოსმალეთიც. მაშასადამე ძველი საერთაშორისო პოლიტიკის შენობა სამუდამოთ დანგრეულია. მაგრამ ომმა კიდევ სხვა ფრივ მოახდინა დიდი ცვლილება. ომის ძლიერმა ტალღებმა დაამხვეს რუსეთის თვითმპყრობლობა. რუსეთის რევოლუცია, რომელიც დღეს მსოფლიო ყურადღებას იქცევს. ომმა წარმოშვა.

ომმა სინათლეზე განსახილველად გამოიტანა ძლიერთაგან მიჩქმალული პატარა ერთა კითხვა. ომმა ჯერ შეაფერხა „ინტერნაციონალი“ და ამ ბოლო დროს კი გააძლიერა. საერთაშორისო დემოკრატია კავშირდება და საერთო სამართლიანობის დასამყარებლად მოქმედებს.

ამ მოკლე ხანში შვეციის ქალაქ სტოკჰოლმში მოწვეულ იქმნება საერთაშორისო დემოკრატის კონფერენცია. ეს კონფერენცია ხდება რევოლუციურ რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოწოდებით.

კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი შეეხება ომის და ზავის კითხვებს. საერთაშორისო დემოკრატია მოითხოვს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავს საპატიოს ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებულს. ეს პირველი მოვლენაა ხალხთა ისტორიაში, რომ დემოკრატიას ეკარნახებიოს მთავრობისთვის საზავო პირობები. სტოკჰოლმის კონფერენციაზე მოსულ ზოგიერთ ქვეყნის დემოკრატიის აზრი დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება. ომის გავლენა ყველგან ელექტრონისებური ძალით ეხეთქა ძველ დრომოჭმულ სოციალ წყობილებას და განახლება მოითხ. ყველა ხალხის ნევრები უკიდურესად არის დაჭიმული და ცოტა აკლია რომ საერთო გარდაქმნა დაიწყოს. რუსეთის რევოლუცია საერთო გავლენას ახდენს. ძველი ცხოვრება დასამარების პირას სდგას, კაცობრიობა განახლებას ელის. განახლების ზიარება „ნგრევა რღვევის“ შემდგომ შეიძლება. „რღვევა ნგრევის“ პროცესში საჭიროა მაღალი ნიჭის მქონე ადამიანთა ძლიერი თანამშრომლობა, რომ დანგრევასთან სისწრაფით მოხდეს ახალის აშენება.

რეს.

## დამფუძნებელი კრება და საქართველო

პეტროგრადში შესდგა კიდეც დამფუძნებელი კრების მომწვევი იურიდიული კომისია და ალბათ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნება ის ძირითადი დებულებანი, რომელთა მიხედვით არჩევნები უნდა მოხდეს მთელს რუსეთში შესაძლებელია, რომ სულ ორიოდე თვის შემდეგ თვით დამფუძნებელი კრებაც შესდგეს. ეს გარემოება ყოველს შეგნებულ მოქალაქესა და მამულიშვილს განსაკუთრებულად ინტენსიური მუშაობისკენ მოუწოდებს. დამფუძნებელმა კრებამ განახლებულ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ძირითადი საძირკველი უნდა ჩაუყაროს და მოსალოდნელია, რომ ამ კრების მუშაობის მიხედვით დიდი ხნით გადასწყდება ჩვენი საკუთარი ბედიც.

ცნობილია რომ დროებითმა მთავრობამ არ იკისრა ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა. დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს არა მარტო სოციალური და ეროვნული საკითხები, არამედ სახელმწიფოებრივი წესწყობილების ძირითადი ფორმაც კი უნდა შეიმუშავოს. დემოკრატიული რესპუბლიკისა, პარლამენტური წესწყობილებისა თუ კონსტიტუციური მონარქიის მიღება დამფუძნებელი კრების ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. რასაკვირველი, დროებით მთავრობას შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო და რევოლუციური გზით რესპუბლიკა დაემყარებინა. ასე მოიქცა სხვათა შორის საფრანგეთის დროებით მთავრობა 1848 წელს. მაგრამ იქ ეს ორასი ათასი რესპუბლიკელი მუშის ძალდატანებით მოხდა, თანამედროვე რუსეთში კი სამწუხაროდ არ აღმოჩნდა საკმაოდ შეგნებული და შეკავშირებული ძალა, რომელსაც დროებით მთავრობის იურიდიული მოსაზრებები დაეძლია.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში დროებითმა მთავრობამ კიდევ მეტი სიფრთხილე და თავდაჭერილობა გამოიჩინა ეს სფერო თითქმის სავსებით მომავალს დამფუძნებელს კრებას დაუთმო. მართალია მან პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღძრა, მაგრამ ეს უფრო არსებული ფაქტის დადასტურება იყო, ვიდრე ახალი ნაბიჯის გადადგმა. უკრაინელებისა, ლატიშებისა, ქართველებისა და სხვათა მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს კი დროებითი მთავრობა ცხადი ან იდუმალი უკმაყოფილებით შეხვდა. ხოლო ფინლიანდიის დედა ქალაქს ჰელსინგორსში დროებ. მთავრობ. წევრმა მოქალაქე კერენსკიმ, რუსის ჯარის კაცებისა და მეზღვაურების წინაშე ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც თვით დაჩლუნგებული ყურიც კი აშკარა მუქარას გაიგონებდა ფინლიანდიელების მიმართ. დემოკრატმა მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია, რათა შეიარაღებული ძალით დარჩენილი ტერიტორიის მთლიანობა დაიცვას.

მოგვცემს თუ არა დამფუძნებელი კრება იმას, რაც ვერ მოგვცა დროებითმა მთავრობამ? ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იმ იმედით სცხოვრობდა, რომ ერთხელ როცა იქნება რუსის დემოკრატია მოვა და განკურნავს ჩვენს ძველს ჭრილობებს. აი, რუსის დემოკრატიაც მოვიდა. იმ ადამიანებმა, რომელნიც დღეს დროებითს მთავრობაში სხედან, ჯერ-ჯერობით ვერ შესძლეს ჩვენი მისწრაფების განხორციელება. მაგრამ შეიძლება ეს მათი საუკეთესო სურვილების წინააღმდეგ მოხდა. შეიძლება უფრო გულუხვნი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომელნიც მომავალ დამფუძნებელს კრებაში ისხდებიან. ღმერთმა ინებოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ეროვნულ თავისუფლებას, რომელიც ასე გვენატრება დიდი ხანია. მაგრამ თუნდაც ეს არ მოხდეს, დამფუძნებელი, კრება მაინც დიდათ საჭიროა ჩვენთვის. ის ჩვენი პოლიტიკური სკოლა მაინც იქნება, თუ ჩვენი თავისუფლების ლაბორატორია არ იქმნა. იქ თვალებით დავინახავთ და ხელით შევეხებით რუსის დემოკრატიას, რომელსაც აქამდე ოცნებაში ვატარებდით და განვთავისუფლდებით ზოგიერთი ბავშვური ილუზიისაგან, რომელიც ყოველთვის დიდათ მავნებელია პოლიტიკაში.

რას მოგვცემს დამფუძნებელი კრება? ეროვნულს თავისუფლებას ან პოლიტიკურს სიფხიზლეს ორივე შემთხვევაში მო-

გებული ვიქნებით. ამიტომ ჩვენი უპირველესი ვალდებულება არის მზადება დამფუძნებელი კრებისათვის.

**გერონტი ქიქოძე.**

(„საქ“)

## ო მ ი.

კარპატებში რაფაელოვოს მიმართულებით რუსის მზვერავთა რაზმი 27 მაისს ადგილობრივ ხასიათის შეტევაზე გადავიდა. დასავლეთის ასპარეზით გერმანელები შეტევას ანვითარებენ. რუმინეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. კავკასიის ბრძოლის ველზე კვლავ მორიგი სიწყნარე ჩამოვარდა. 26 და 27 მაის სამხედრო ბანკის ცნობა არას ამბობს ოსმალთა ოპერაცების შესახებ სჩანს ადგილს ეძებენ შემოსატევად.

ჯიხ.

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

## დეპეშები

ალ. კერენსკი დასავლეთის ფრონტზე.

**მოსკოვი.** 26 მაისი. ალ. კერენსკი მოგზაურობს დასავლეთის ფრონტზე.

ბოიკოტის გამოცხადება.

**რიგა.** 26 მაისი. მე-12 ე არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა გამოუცხადონ ბოიკოტი გაზეთ „თხრილების სიმართლეს“, როგორც ჯარში დეზორგანიზაციის შემტან ორგანოს.

საფრანგეთის ნოტა.

**პეტროგრადი.** 26 მაისი. საფრანგეთის საელჩომ გადასცა რუსეთის მთავრობას ნოტა, სადაც ნათქვამია პალატა, რომელიც გამომხატველია საფრანგეთის ხალხის ნებისყოფისა, სალამს უძღვნის რუსეთის დემოკრატიას. დეპუტატთა პალატამ ერთხმად დაადგინა ასოთხმოც-და-მეშვიდე ეროვნულ ყრილობაზე, პროტესტი გამოუცხადოს იმ აზრს, რომ ელზას-ლორენი საფრანგეთს არ დაუბრუნდესო. პალატამ დაადგინა აგრეთვე, რომ საფრანგეთის ხალხი დაკმაყოფილდება და შეურიგდება ისეთ ზავის პირობებს, რომელიც მას დაუბრუნებს ელზას-ლორენს და აუნაზღაურებს ზარალს.

საფრანგეთის საელჩოს ცნობათა გამოქვეყნება.

**პეტროგრადი.** 26 მაისი. გამოაქვეყნეს საფრანგეთის საელჩოს ცნობები, სადაც ნათქვამია: საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო სრული დამაკმაყოფილებელი დეკლარაცია რუსეთის დროებითი მთავრობისაგან და სავსებით იზიარებს რუსეთის დემოკრატიის აზრს, რომ მოპოვებულ თავისუფლებისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლებს ამასთანავე უერთდება იმ აზრს რომ ომის გათავებამდის უნდა დაცულ იქნას პრინციპი სამართლიანობისა ყველა ერთა შორის დამოკიდებულებაში საფრანგეთი არას დროს არ იოცნებებს იმაზე, რომ ვისმეს ტერიტორიას დაეპატრონოს. თანახმად რუსეთის განცხადებისა, პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ საფრანგეთი, მოხარული იქნება მსოფლის ყველა ერთა თავისუფლების მოპოებით. საფრანგეთი უკვე გრძნობს, რომ ომი დამთავრდება სამართლიანობით და ამასთანავე აცხადებს, რომ არ შეუძლია მას ხელი აიღოს ელზას-ლორენზე. ფრანგები თანახმა არიან რუსეთთან არა თუ ერთის გზით იმოქმედონ ომის საქმეში, არამედ სავსებით იზიარებენ რუსეთის ახალი მთავრობის მიერ წამოყენებულ ზავის პირობებსაც.

კერენსკი დვინსკში.

**მოსკოვი.** 26 მაისი. კერენსკი დილით ჩავიდა დვინსკში. სადგურზე მიეგება ჯარის კომანდირი და სხვა სამხედრო უფროსები. კერენსკი დაესწრო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების დახურულ კრებას. კრების დასრულების შემდეგ დაესწრო ქალაქის თვითმმართველობის თათბირს. ქალაქის მოურავის ამხანაგმა ბურიშკინმა სიხარული გამოსთქვა კერენსკის მისვლის შესახებ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომაზე კერენსკიმ გააკეთა მოხსენება ფრონტზე მყოფ და ზურგს უკან მდგომ ჯარის შესახებ და აღნიშნა რომ ჯარი უზრუნველ-ყოფილია სამხედრო მასალებით, ხოლო აკლიათ სურსათი ტანსაცმელი და ფეხსაცმელიო.

შემდეგ კერენსკი გაემგზავრა უნივერსიტეტისაკენ. საღამოთი დაესწრო დიდ თეატრში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მიტინგს. ტრიბუნაზე ასვლის დროს მას გაუმართეს ოვაციები და სიხარულით მიეგებენ. მინისტრმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გარდაქმნა არსად არ მომხდარა უცებ და უმსხვერპლოდ. ჩვენ უნდა გადავიტანოთ ყოველგვარი ტანჯვა და უნდა ვიყოთ მზად სიკვდილისათვის, რომ მით დავიცვათ მოპოებული თავისუფლებაო. ჯარიც შეასრულებს თავის მოვალეობას და ხელს შეუწყობენ განახლებული რუსეთის თავისუფლებას.

ამერიკის პრეზიდენტის განცხადება.

**პეტროგრადი.** მაისის 27. ამერიკის საელჩომ მაისის 12 რუსეთის დროებით მთავრობას გადასცა შეერთებულ შტატების პრეზიდენტის განცხადება. ამ განცხადებაში ვილსონი ამბობს: ჩვენი დღევანდელი მიზანი იგივეა, რაც ომში ჩარევამდის გვქონდა სახეში ამერიკის მდგომარეობა მიმდინარე ომში გამორკვეულია. ჩვენი პოლიტიკა დაპყრობითი არ არის. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ომში მხოლოდ მისთვის, რომ პატარა ერები უზრუნველ ყოფილიყვნენ ძლიერი მტრების განადგურებისგან. გერმანეთის სახელმწიფოს მმართველმა კლასმაც დაიწყო ამგვარი ლიბერალიზმის აღიარება, მაგრამ მხოლოდ მისთვის, რომ სახელმწიფოს გამგებლობის საქმე ხელიდან არ გამოეცალოსთ. გერმანელები სცდილობენ იმავე მდგომარეობაში დარჩენ, რომელშიაც იყვნენ დღემდე (სტატუს ქვო ანტე ბელლუმ.) მაგრამ გერმანეთის მხოლოდ იმ მდგომარეობაში ყოფამ როგორშიაც დღემდე იყო, აღმოაცენა დღევანდელი მსოფლიო ომი. ამიტომ იმნაირად უნდა შეიცვალოს გერმანეთის მდგომარეობა, რომ ვეღარ შესძლოს ამგვარი რამეების განმეორება. ამერიკა იბრძვის თავისუფლებისათვის, რომელიც მომხრეა ყველა ეროვნებათა თავისუფალი ზრდა-განვითარებისა. ამიტომ არც ერთ ერს უფლება არ უნდა ჰქონდეს ძალით დაიმორჩილოს სუსტი ერი. ყველა ერის ტერიტორია უნდა ხელ-უხლებელი დარჩეს. უნდა მოისპოს ერთი ერის გაბატონების სურვილი მეორე ერზე, რაც უზრუნველ ჰყოფს ზავსა და მიანიჭებს ყველა ხალხის ბედნიერებას.

თათბირი ცარიცინში მომხდარ ინცინდენტის გამო.

**ცარიცინი.** მაისის 27 სასწრაფო. ქალაქის გამგეობაში პეტროგრიდის მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლის გიდონის თანდასწრებით მოხდა თითბირი ცარიცინში მომხდარ ინკინდენტის გამო. გიდონმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელითაც გამოამჟღავნა ბოლშევიკების საქციელი და მათი მეთაურის ლენინის მოქმედება. თითბირმა გაუგზავნა დეპეშა იუსტიციის მინისტრსა და ჯარისკაცთა საბჭოს. გზ. „ცარიცინის უწყებამ“ დაბეჭდა მთელი რიგი საპროტესტო წერილებისა ცარიცინის ანარქიის გამო.

ხერსონში მომხდარ ინცინდენტის გამო.

**ოდესა.** მაისის 27. გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმის გამო, რომ ხერსონში გამოცხადდა რესპუბლიკაო, კორესპონდენტი შეეკითხა ტელეფონით ხერსონის კომისარს იურცინს, რომელმაც შემდეგი უპასუხა: ხერსონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ბოლშევიკების ზედგავლენით დაადგინა ხელში ჩაეგდო უფლება, ახალ მთავრობისგან დამოუკიდებლად გამოეცხადებიათ თავი, მაგრამ დიდის რყევის შემდეგ უკანვე წაიღეს თავიანთი დადგენილება. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გამოიტანა რეზოლუცია, რომ გამოუცხადონ ნდობა დროებით მთავრობას, ამასთანავე ქალაქში მუშათა და ჯარისკაცთა დადგენილების წინააღმდეგ. ოფიცრებისა და ჯარისკაცების მეთაურობით ჯარის ნაწილმა ღამით დაიკავა საბჭოს შენობა. დღისით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებმა პროტესტი გამოუცხადეს გარნიზონის ნაწილს. საღამოთი ქალაქში სიწყნარე ჩამოვარდა. ინცინდენტი გათავებულად უნდა ჩაითვალოს.

მ ი ტ ი ნ გ ი.

**გომელი.** მისის 27. განმანაწილებელ პუნქტში ფრონტზე გასაგზავნ რამდენიმე ათას ჯარისკაცის თანადასწრებით მოხდა მიტინგი. წარმოითქვა მხურვალე სიტყვები. ფრონტზე გასაგზავნი ჯარის რაოდენობა აღწევდა 1200 კაცამდე. ადგილობრივმა კომიტეტმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა ჯარი ზეიმით გააცილეს.

უ წ ე ს ო ე ბ ა ნ ი.

**კამინეცი.** მაისის 27 ციხიდან ახლად განთავისუფლებულები ეწევიან აგიტაციას ქალაქის დასარბევად. იზმაილოვსკის მაზრაში ჯარისკაცები გლეხების მონაწილეობით იტაცებენ ჯარში გასაგზავნათ დამზადებულ სურსათს. ქრისტინის მაზრაში გრძელდება ტყეების გაჩეხვა.

## რ უ ს ე თ ი.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

ტრამვაის დაჯახება ავტომობილზე.

**ოდესა.** მაისის 26. ხალხით სავსე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა; სამხედრო ავტომობილს, რომელზედაც იყო სამი ბენზინით სავსე ბოჭკა. მოხდა აფეთქება დაიწვა ავტომობილი. ცეცხლი გაუჩნდა ახლო-მახლო სახლებს. ცეცხლი ჩააქვრეს. დაიღუპა სამი მგზავრი.

ძარცვა-გლეჯა.

**ოდესა.** მაისის 26. ღამით ნიღაბ-აფარებული მძარცველები დაეცენ სასტუმროს. გაიტაცეს 12000 მანათი. სამი მათგანი დააკავეს კიდეც.

**სიმფეროპოლი.** მაისის 26. მძარცველები თავს დაესხენ ბახჩის მეპატრონეს რუდანს. მოჰკლეს რუდანი და წაიღეს 8000 მანეთი. მძარცველები მიიმალენ.

სროლა.

**სიმბირსკი.** მაისის 26. ოლგის ხიდთან მდგომმა სამხედრო დარაჯმა სროლა აუტეხა მიმავალ ნავს, რომელსაც მიქონდა ოფიციალი ქაღალდი თავისუფლად მიმოსვლისა. ნავში მსხდომ მუშებს დარაჯმა წინადადება მისცა შეჩერებულიყვნენ. დარაჯის მოთხოვნილება არ აასრულეს. დაიჭრა ორი მგზავრი.

კავკასიის ჯარის დელეგატთა ყრილობის დასრულება.

**თბილისი.** მაისის 24. დასრულდა კავკასიის ჯარის დელეგატთა ყრილობა. ყრილობაზე სხვათა შორის გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლუცია: დაარსებულ იქნას სამხედრო კავკასიის ჯარის საბჭოს სამხედრო კურია, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან 132 წევრი. ამორჩეულ იქნა აგრეთვე 16 დელეგატი სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობაზე დასასწრებად, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: 6 ესდეკი, 6 ესერი 4 უპარტიო და კავკასიის არმიის დელეგატების ყრილობის თავმჯდომარე მესამე სათათბიროს დეპუტატი გეგეჭკორი.

ჩერნოვი სევასტოპოლში.

**სევასტოპოლი.** მაისის 26. ჩამოვიდა მიწად მომქმედების მინისტრი ჩერნოვი.

დეზერტირების უგვანო საქციელი.

**კიევი.** მაისის 24. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოსდის ცნობები დეზერტირების უმგვანო საქციელის შესახებ, რომელსაც ისინი სხვადასხვა მაზრებში სჩადიან დეზერტირებისაგან შესდგა ძლიერად შეიარაღებული ბრბო, რომელიც სძარცავენ გამვლელ-გამომვლელთ. აწიოკებენ გლეხებს, სწვავენ ტყეებს, ახდენენ დარბევას და სხვა.

ძარცვა-გლეჯა.

**ცარიცინი.** მაისის 24. ქალაქში ძარცვა-გლეჯამ ფართო ხასიათი მიიღო. გახშირდა ტერორი. ტოკარერს წაართვეს სტამბა მთელის მოწყობილობით. გამეფდა თვით გასამართლება.

თვით გასამართლება.

**სემფოროპოლი.** მაისის 24. ბრბომ თვით გასამართლებით სიკვდილით დასაჯა 7 კაცი, რომელთაც ქურდობა ბრალდებოდათ.

მანეთის ფასის დაცემა.

**ჰელსინგფორსი.** დღის განმავლობაში მანეთის ფასი 100 მანეთზე დაეცა 177 მარკამდე.

თავისუფლების სესხი.

**პოლტავა.** მაისის 28. თავისუფლების სესხზე ხელის მოწერამ მიაღწია 7,730.000 მანათამდე.

**ხარკოვი.** თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა ავიდა 2 ნახ. მილიონ მანათამდე. წვრილი კრედიტის კავშირმა ხელი მოაწერა მილიონ ნახევარ მანეთზე.

მატარებლის რკინის გზის ლიანდაგიდან გადავარდნა.

**მინსკი,** მაისის 27. სადგურის მახლობლად მატარებელი რკინის გზით ლიანდაგიდან გადავარდა. დაშავდა 1 ოფიცერი და 4 ჯარისკაცი.

მიწების განსაზოგადოება.

**რიაზანი.** მაისის 27. მაკაკოვის ოლქში სკოპინის მაზრაში გამოაცხადეს ყველა მიწები საზოგადო კუთვნილებათ.

## უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

სენატორთა თათბირი.

**ნიუორკი.** მაისის 25. სენატორთა თათბირზე ვილსონმა წინადადება შეიტანა მთელი ამერიკის სასურსათო კონტროლის დანიშვნის შესახებ. ვილსონმა სენატორებს თხოვნით მიმართა, რაც შეიძლება დააჩქარონ ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

ანტიებრაელური მოძრაობა

**ლონდონი,** მაისის 24. ლონდონიდან იუწყებიან: ორშაბათს დაიწყო ანტი-ებრაელური მოძრაობა იგი გამოწვეულია პაციფისტურ კონფერენციის მიერ. მეამბოხეებმა დიდად დააზარალეს ებრაელთა სახლები და დუქნები. მილიციამ დარბევა მალე შეაჩერა.

სიძვირის წინააღმდეგ

**ქრისტიანია.** მაისის 24 ყველგან სიძვირის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. დაჰკეტეს ფაბრიკა-ქარხნები, მაღაზიები, და სახელოსნოები, სკოლები გაზეთები გამოსვლა. ქუჩებში დემონსტრაციებია.

კაბინეტის შედგენა.

**სტოკჰოლმი.** მაისის 27. მეფე კარლოსმა მიანდო კონსტიტუციონალურ პარტიის ბელადს ესტერგაზისს შეადგინოს კაბინეტი.

კროპოტკინი.

მაისის 27 ჩამოვიდა სტოკჰოლმში თავისუფლებისათვის ძველი მებრძოლი კროპოტკინი. კროპოტკინი ინახულა რუსეთის ელჩმა ნეკლიუკოვმა. საღამოთი კროპოტკინი სტოკჰოლმიდან გაემგზავრება.

კონსულის დანიშვნა.

**პარიზი.** მაისის 28. ყოფილი ლეიპციგის კონსული გაბრიელ ბარტრენი დაინიშნა საფრანგეთის გენერალურ კონსულად მოსკოვში.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

### დ ე პ ე შ ე ბ ი.

დასავლეთის ასპარეზი

**პარიზი.** მაისის 26. ოფიციალი. ღამის განმავლობაში მტერი ძლიერად უშენდა ჩვენს პოზიციებს სენკანტენის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიდამოებში. ჩვენი არტილერია უპასუხებდა. სარნის მიდამოებში ხდებოდა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. ასპარეზის სხვადასხვა ადგილებში მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა ჩვენს წინააღმდეგ. იერიშები მოვიგერიეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**ლონდონი.** მაისის 26. ოფიციალი. მდ. იპრის სამხრეთით ოპერაციები გრძელდება. ავიღეთ რამდენიმე სოფელი. ჩვენ წინ მივიწევთ. ავიღეთ გერმანელების რამდენიმე სიმაგრე. მტერმა ფრიად დიდი ზარალი ნახა. წამოვიყვანეთ 5000-მდე ტყვე. წამოყვანილ ტყვეების რაოდენობა ჯერ სავსებით გამოურკვეველია. წავართვით მტერს მრავალი სამხედრო იარაღი.

**ჰავრი.** მაისის 26. ოფიციალი. გრძელდება ბრძოლა ტყვიის მფრქვეველთა და ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით. მტრის არტილერია სუსტად მოქმედებდა. ჩვენ ძლიერად უშენდით ლაიგმარკ-წამოვიყვანეთ ტყვეები. გერმანელები დიდათ დავაზარალეთ.

რუმინეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** მაისის 27 ოფიციალი. რუმინეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

იტალიის ასპარეზი.

**რომი.** მაისის 26. ოფიციალი. ტრენტინოს ფრონტზე საარტილერიო მოქმედება უმნიშვნელო გამოდვა. მაისის 24-მტერმა საგრძნობი ძალებით იერიშები მოიტანა ჩვენს პოზიციების წინააღმდეგ ბახარის ველით. იერიშები მოვიგერიეთ. მტერმა დიდი ზარალი ნახა. იულიის ალპების ასპარეზზე მტრის არტილერია საგრძნობლად უშნედა გორიცასა და სხვა დასახლებულ პუნქტებს. კარსოს მახლობლათ მტერს ჩვენი ბათარეები მარჯვედ უპასუხებდენ. ავსტრიელებმა საგრძნობი ძალებით იერიშები მოიტანეს ვარსიკჰის სამხრეთით მაღლობებ 247-სა და 31 შუა მდებარე ადგილებში. 61 დივიზიის ნაწილმა თავი სამაგალითოდ დაიცვა ჩვენ გავმაგრდით ჩვენს პოზიციებზე. წამოვიყვანეთ 102 ტყვე. მათს შორის 4 ოფიცერი.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** მაისის 27. ოფიციალი. კარპატებში ორმა ჩვენმა მზვერავმა რაზმმა პორუჩიკ მოროციკოს და პრაპორშჩიკ ბრაგინის ხელმძღვანელებით შეიჭრა მოწინააღმდეგის მართულიან ხლართებში და იერიშები მიიტანეს ავსტრიელებზე. ავსტრიელები ამოხოცეს თხრილებში. წამოვიყვანეთ ტყვეთ 11 ჯარის-კაცი, ასპარეზის დანარჩენს ადგილებში სრულა გრძელდება.

კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** მაისის 26. ოფიციალი. მდგომარეობა უცვლელია.

მფრინავთა მოქმედება.

**პარიზი.** მაისის 25. ოფიციალი. ჩვენს მფრინავებს მტერი ძლიერად უშენდა ავარკურის მიდამოებში.

**რომი.** მაისის 26. ადიჯეს ველით ჩვენი ორი საჰაერო რაზმი მარჯვეთ უშენდა სამხედროთ საწყობებს, აპარატები უვნებლად დაბრუნდენ.

**ლონდონი.** მაისის 26 ოფიციალი. საჰაერო ბრძოლის დროს 5 იერიში მივიტანეთ მტრის საჰაერო რაზმებზე. მტრის საჰაერო რაზმები გავფანტეთ. ჩამოვაგდეთ მტრის 8 ჰაეროპლანი დავაზიანეთ მტრის 9 აეროპლანი.

**რომი** მაისის 26. ოფიციალი. მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს. უპასუხებდა ჩვენი გიდროპლანი. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს 800 კილოგრამი ამაფეთქებელი ნივთიერებისა.

**პეტროგრადი.** მაისის 26 ოფიციალი. ჩვენმა მფრინავებმა შტაბროტმისტრმა კოზაკოვმა და შტაბსკაპიტანმა არგეევმა კოზოვის მიდამოებში ჩამოაგდეს გერმანელების თვით მფრინავი, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა. მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ.

დასავლეთის ასპარეზი

**პარიზი.** მაისის 27. ოფიციალი გრძელდება საარტილერიო ბრძოლა. სენვანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ფრევლანუარ ჩრდილო დასავლეთით მოვიგერიეთ მტრის თავდასხმები. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში დღემ წყნარად განვლო. მონასტირის მახლობლად ხდებოდა დროგამოშვებითი საარტილერიო ბრძოლა. დიორანსკისტბის მიდამოებში ბრიტანეთის ჯარმა განფანტა მოწინააღმდეგეთა რაზმი.

**ჰავრი.** მაისას 27. სტეენსტრატ-ს მიდამოებში გრძელდება საარტილერიო მოქმედება.

**ლონდონი.** მაისის 27. ოფიციალი. დღის განმავლობაში გავაგრძობდით სიმაგრეების აგებას. ჩვენი პოზიციებს ახალი ხაზებზე მდ. იპრის სამხრეთით მოვიგერიეთ გერმანელების იერიშები. წამოვიყვანეთ 6400 ტყვე ჯარისკაცი. მათს რიცხვში 20-მდე ოფიცერი.

## საპროტესტო დეპეშები.

**პროფესორ ბენეშევიჩს:**

(ამ დეპეშის ასლი გაეგზავნათ გაზ. „საქართველოსა“ და „ვოზროჟდენიეს“ რედაქციებს).

საქართველოს ჩაკათალიკოსოს სასულიერო სასწავლებლების ქართველ მასწავლებელთა ყრილობა ღრმა პროტესტს გიცხადებსთ თქვენ, რადგან ვერ მიაღწიეთ თავისუფალ რუსეთის მოქალაქის წოდების სიმაღლეს: შემოიკრიბეთ რა თქვენ გარშემო სიმართლის და თავისუფლების

მტრები თქვენ შექმენით უკიდურესი მტრული მიმდინარეობა საქართველოს ჯვაროსნულ ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც აღსდგა სინიდისის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა ძვლებზე ჩვენ მორწმუნე ქართველ ხალხთან ერთად მთელის ჩვენის ძალღონით დავიცავთ საქართველოს ტერიტორიულ კანონიერ უფლებასა სიმართლისა და უფლებების საფუძვლებზე.

ყრილობის თავმჯდომარე:

ტრ. ჯაფარიძე.

**საქართველოს საკათალიკოსოს მოსაყდრეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს.**

საქართველოს საკათალიკოსოს სასულიერო სასწავლებლებლების ქართველ მასწავლებელთა კოლეგია შეიკრიბა რა ქუთაისში ხსენებულ სასწავლებლების რეორგანიზაციის მოსახდენად, თავის მოვალეობათ ჩასთვალა მოგესალმოსთ თქვენ მრავალტანჯულ ქართულ ეკლესიის საკათალიკოსოს მოსაყდრეს რომელმაც დაამსხვრია ტყვეობის ხუნდები და შეუდგა კანონიური გზით განვითარებას. ქართველ პედაგოგთა კოლეგია ღრმად არის დარწმუნებული, რომ თქვენ ენერგიულად დაიცავთ ტერიტორიელს პრინციპს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისას, როგორც ივერიის ეკლესიის კანონიურსა და სამართლიან მოთხოვნილებას ერთგულ წევრებისას.

ყრილობის თავმჯდომარე

ტ. ჯაფარიძე.

## ახალი ამბავი

✦ კვირას 28 მაისს საღამოს ხუთ საათზე ჭავჭავაძის და ორპირის ქუჩის შესახვევთან ეტლმა გადაუარა ხუთი წლის ბავშვს. იმ წუთში იქვე გაჩდენ მილიციონერები და აფთიაქის მოსამსახურეები, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს რითაც კი შეეძლოთ ბავში ჯამრთელათ დარჩა მილიციონერები და აფთიაქის მოსამსახურეები მადლობის ღირსნი არიან.

✦ ამ დღეებში, ძველი ლაგირის ქუჩაზე გაიმართება საღამო იმავე ქუჩის სამკითხველოს სასარგებლოთ.

✦ თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდად მზად არის „კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა, შედგენილი ს. რ. გიორგაძის მიერ ქრისტომატიაში მოთავსებულია მეცხრამეტე საუკუნის საუკეთესო მწერალთა: გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვახტ. ორბელიანის, გ. ერისთავის, დან. ჭონქაძის, რაფ. ერისთვის, ე. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ა. ჭავჭავაძის, მამია გურიელის და ანტ. ფურცელაძის რჩეული ნაწარმოებნი, სისტემატიურად დაწყობილნი. ყოველ მწერლის ნაწარმოებს წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფია მწერლისა და ბოლოში გასამეორებელი კითხვები წერის სავარჯიშოდ და შინაარსის გასაგებად. წიგნი დაბეჭდილია მშვენიერ თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე, შეიცავს 600 გვერდს და ღირს 3 მან. და 10 შაურად.

✦ კრებები კვირას და ორშაბათს ქუთაისში მოხდა დასავლეთ საქართველოს სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წევრთა წლიური კრება და ქართველ სტუდენტთა კონფერენციისთვის მოსამზადებელი თათბირი.

✦ ჯარის-კაცს ბიქტორ ხუნდაძეს, რომელიც მიქელაძის სახლში თფილისსის ქუჩაზე სცხოვრებს მოპარეს 22 მანეთი ქისით.

✦ დღეს, სამშაბათს 30 მაის შუადღის 12 საათზე ეროვნულ დემოკრატიულ სალექციო დარბაზში გაიმართება კრება თანამოაზრე მოსწავლე ახალგაზდობისა ვთხოვთ დაესწრონ ვინაიდან სხვათა შორის წაკითხული იქნება საგულისხმო მოხსენება.

✦ ახალი წიგნი. გამოვიდა ახალი წიგნი. „რა არის დაფუძნებელი კრება" წიგნი ღირს 25 კაპ.

✦ ქურდობა. ქუთაისში წვრილ ფეხა ქურდ ბაცაცების თარეშმა ფართე ხასიათი მიიღო. 27 მაისს მესხეთის ქუჩაზე გაქურდეს კოტე მესხის სახლი, საიდანაც წაიღეს 120 მან. ღირებული ავეჯეულება.

✦ ჟანდარმთას ამმართველთა სშენახებ. კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი სთხოვს ქუთ. აღმ. კომიტეტს რათა ის შენობები, რომელიც ჟანდარმთა ძველ მართველობის წევრთ ეკავათ, განთავისუფლებულ იქმნას და ჟანდარმერიის ყოფილ წევრთ ძოესპოთ ხაზინიდან ბინის ქირის ძღევა.

✦ ია ეკალაძის გამგზავრება. გუშინ ნაშუადღევის მატარებლით გურიაში გაემგზავრა ჩვენი გაზეთის თანამშრომელნი ბ-ნი ია ეკალაძე. ია ეკალაძე ლექციების წასაკითხად არის მიწვეული ჩოხატაურში ხიდისთავში და ოზურგეთში ლექციები იქნება თანამედროვე მომენტზე.

✦ ბათომი. სახელმწიფო ბანკის გამგეობა სთხოვს ქუთაისის აღმ. კომიტ. დახმარება აღმოუჩინოს „თავისუფლების სესხი"ს განაღდებაში.

✦ დაპატიმრება. ქუთ. აღმ. კომიტეტის განკირგულებით მილიციის უფროსმა ბ-ნმა ი. ჟღენტმა დაატუსაღა ნ. კაპეტივაძე.

✦ ე. შაფფის თხოვნა. ქუთ. აღმ. კომიტეტს ე. შაფფი სთხოვს, რომ მას აღუთგინონ ზემო სატურიაში უფლება კირის დასამზადებლად. ე. შაფფი აღნიშნავს, რომ იგი მუშაობს სახელმწიფო თავდაცვისთვის და ამიტომ მისი უფლება დაუყონებლივ აღდგენილ უნდა იქმნესო.

✦ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში. კვირას 28 მაისს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სალექციო დარბაზში მოხსენება წაიკითხეს ბ. ვასილ წერეთელმა და ია ეკალაძემ. მოხსენებას საზოგადოება ბრომად დაესწრო და კმაყოფილი დარჩა მომხსენებელთა განმარტებით.

### პროვინცია.

ქ. ფოთი. 1 ივნისისთვის დანიშნული ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საღამო 2 ივნისისთვის გადაიდო. საღამო გაიმართება იმავ შინაარსით.

ზესტაფონი. დღეს იწყება საუბნო არჩევნები.

### თბილისი.

✦ მთიელთა წარმომადგენელნი. თბილისში ჩამოვიდნენ მთიელთა კავშირის ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ჩერმაევი და იმავე კავშირის წევრი თავ. რაშიდ-ხან-ყაფლანოვი. მათი ჩამოსვლის მიზანია გამოარკვიონ ქართველ პოლიტიკურ პარტიათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება და ეროვნულ საკითხის ვითარება. ჩამოსული სტუმრები ჰფიქრობენ აღძრან საკითხი თუ როგორ და რა სახით მოარიგონ თუშებისა და ქისტების საქმე ისე, რომ შეიარაღებულს რაზმებს არ მოუხდეს იქ წასვლა.

✦ ამრჩეველთა აღწერის ზედამხედველებათ შემდეგი პირნი დაინიშნენ: 1 უბანში მ. ნ. ვესელევზოროვი და ერაძე, (ოლღას ქუჩა 52, ქალაქის პირველ დაწყებითი სასწ.) მე-2 უბანში გ. დ. ჟურული და კოვალენსკი (არტ. საზოგ.) მე-3 უბანში ნ. ვ. რამიშვილი და ს. გ. გალსტიანი (ქალ. მესამე სასწავლ.) მე-4 უბანში ბ. მ. ბროდსკი და ნ. დოლუხანოვი (ეკზარ. მოედ. სახელ. სასწ.) მე-5 უბანში ლ. გ. ევამგულოვი და გუსეინ მინასოვი (ქალ. საავად. კიროჩნ. ქუჩა) მე-6 უბანში ვ. ა. ბოგუცკი და მინასიანცი. (ნადეჟდ. თავშესაფარი, რეიტერის ქუჩა). მე-7 უბანში ა. კრზივიანი და გ. ტერსტეფანოვი (კახეთის მოედ. ავლაბრ. კლუბი.) მე-8 უბანში ა. ს. ბაბოვი და ვ. ა. ჩერნიშევი. (პირვ. კომერც. სასწავლებელი.) მე-9 უბანში ნ. ვ. აბრამიანი და ბ. ი. ამირაგოვი (სასურსათო კომიტეტი, რეუტოვის ქუჩა.) მე-10 უბანში მაიოროვი და ივანოვი (სახალხო სახლი) 11 უბანში დანილოვი წვეროვი (იკულა) (ბოტტეს სახლში). მე-12 უბანში ინა ჟორდანიი და შტეინგერი. (შერემეტ. ქუჩა. რკინის გზის სასწავ.)

✦ მშობელთა და მასწავლებელთა კრება. ხვალ მაისის 29-ს საღამოს 2 საათზედ რეალურ სასწავლებლის შენობაში მოხდება არა ჩვეულებრივი კრება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოსი. განსახილველია სასწავლებელში შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობის მიზეზები და მშობლებისა და პედაგოგიურ საბჭოს შორის მტკიცე კავშირის დაარსება ახალ სკოლაში საერთო შეგნებული მუშაობისათვის.

✦ შემოწირულება ომისათვის. მაისის 25-ს თბილისის სახელმწიფო ბანკის კონტორა გენერალ მაიორის ფონ-პარტენის მიერ ომის საჭიროებისათვის დროებით მთავრობის განკარგულების ქვეშ მიიღო 13,500 მ.

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

**1. საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. საგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

**2. სატაქტიკო საკითხები.**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

**3. საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებაზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

✦ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება. კვირას, მაისის 28-ს საღამოს 8 საათზე მეფის ნაცვლის კანცელარიის შენობაში შესდგება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება—შემდეგი რიგით: ა) ი. შ. ფირუმოვის მოხსენება—აგრონომიულ შემწეობის აღმოჩნე მცხოვრებთათვის. ბ) ი. პ. ბესელიძის მოხსენება სარაიონო ორგანიზაციებისათვის.

✦ პროვოკატორთა საქმე. ამ დღეებში კავკ. საგ. კომიტეტთან არსებული საგამომძიებლო კომისია, გადაშინჯავს 40 პროკატორთა საქმეს, რომელნიც დღეს მეტეხის ციხეში იმყოფებიან

✦ ოფიცერთა ყრილობა. 25 მაისს, შესდგა თსილისის მეციხოვნე (გარნიზ.) აფიცერთა ყრილობა პროფესიონალ კავშირს დაარსებს. კავშირს მიზნად ექნება დასახული არმიის რეორგანიზაცია სრულიად ახალს საფუძველზე, რანაირიც დროებით მთავრობის მიერ არის ნაჩვენები.

— გადასახლების გაუქმება. დროებითმა მთავრობამ გადასახლება, როგორც სასჯელი, შემდეგის სახით გააუქმა: 1) სისხლის სამართლით გადასახლება შეიცვალოს ციხეში ჩასმით, სამ წელზე არა ნაკლების ვადით; 2) სიხლის სამართლით გადასახლება, მასთან ერთად ყოველ უფლების ჩამორთმევა უნდა შეიცვალოს გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ოთხიდან ექვს წლამდე. განსაკუთრებულ უფლებათა უპირატესობის ჩამორთმევით

— სამოსწავლო ოლქის გამგეობა. მასწავლებელთა ყრილობამ შემდეგი წესი მიიღო: სასწავლო ოლქს განაგებენ: კომისარიატი და საბჭო. საბჭოს შემადგენლობა ასეთია: 12 წევრი საოლქო თათბირის მიერ არჩევით და განსაკუთრებული ამიერ-კავკასიის კომიტეტის დამტკიცებით, 4 წარმომადგენელი მუშათა საბჭოში (2 ჩრდილო კავკასიიდან და 2 ამიერიდან) 4 წევრი გლეხთა საბჭოდგან (2 ჩრდილო კავკასიიდან და ორიც ამიერიდან), მასწავლებლების მხრით მთელი საბჭოს ნახევარი, თითო წარმომადგენები მუნიციპალიტეტისა და საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებისა, როცა საკითხი მათ სკოლებს ეხება. გარდა ამისა საჭიროებისდაგვარად მოწვეულ იქმნებიან ერების წარმომადგენლებიც.

✦ პეტროგრადის უნივერსიტეტის გამგეობას დაუდგენია, დაუბრკოლებლად მიიღონ რუსეთის უნივერსიტეტში ის პირნი, რომელნიც დაასრულებენ სომეხთა საეპარქიო სემინარიებსა და ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიას. ეს დადგენილება გამოუტანიათ პროფესორ მარის წინადადებით.

✦ არჩევნები ბაქოში. ბაქოში სასურსათო არჩევნებში 1, 2, 3, 4, და 5 უბნებში მაჰმადიანთა ბლოკმა გაიმარჯვა, სხვა უბნებში კი სოციალისტებმა გაიმარჯვეს.

✦ მაზრის კომისარების მოხსენება. მაისის 25-ს სხდომა ჰქონდა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს. სხდომას დაესწრნენ მაზრის კომისარები. ამ უკანასკნელებმა კრებას მოახსენეს, რომ სოფლად ყველგან მშვიდობაა, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა შემცირდა, გლეხები სიხარულით მიეგებენ რევოლიუციას, მაგრამ რევოლიუციის შედეგს მოუთმენლად მოელიან, როგორც, მაგალითად, მიწას, გზების გაყვანას, სკოლას, საავარმყოფოს და სხ. სოფლად მცირე ინტელიგენტური ძალაა და ზოგან სრულებითაც არა, რაიცა დიდად ხელს უშლის საქმესო. გაგრძელება თათბირისა გადაიდვა.

## ზავის მარშემო.

**ჰუნგრეთის სოც. დემოკრატები**

„დეილუ ტელეგრაფი" იტყობინება, რომ ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატები სრულიად ეთანხმებიან რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საზავო პირობებს. უნგრეთის სოც. დემ. მოითხოვენ: ზავი ჩამოგდებულ იქმნას უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ, აღდგენილ იქმნას ბელგეთ ელზას ლოტარინგიის კითხვა საფრანგეთის და გერმანეთის სოც. დემ. ხელში გადავიდეს. მოხდეს ავსტრიაში სახელმწიფურ მმართველობის სრული დემოკრატიზაცია.

**ავსტრიის სოც. დემოკრატები**

რეიჰსტრატის გახსნის დღეს ვენაში სოც. დემოკრატებმა დიდი მიტინგები და დემონსტრაციები გამართეს. სოც. დემოკრატები მოითხოვდენ საჩქაროდ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას.

## „თაგუნას" „ჰუმორი"

დიდი კორიანტელი დააყენა „თაგუნას" „ჰუმორისტულმა" წერილმა. მაგრამ, სამწუხაროდ, მტვერი ავტორსავე შეეყარა თვალებში. ცხადია, ის რომ კარგი ჰუმორისტი ყოფილიყო, ეს არ დაემართებოდა: მხოლოდ მტერს დაუყენებდა თვალებს!

მახსენდება გოგოლის ფილოსოფია: ხშირად პატარა მიზეზი დიდ შედეგებს შობსო. „თაგუნას" ჰუმორი ვერავინ გაიგო და გადაბრუნებული აზრი მართლაც იწამეს. მე თვითონ ბევრმა მითხრა: „დახე, კაცო, რასა სწერს „თაგუნა" ნოე ჟორდანიას შესახებ? სომხებისაგან ქრთამის აღებას აბრალებსო!"

ასე გადაბრუნებულად გაიგო „თაგუნას" ჰუმორი გაზ. „კავკაზსკოე სლოვომაც", რის გამოც ბ. „თაგუნას" თავისი ჰუმორის ახსნა და განმარტება დასჭირდა, მაგრამ ეს განმარტებაც, [illegible] კმამყოფელი, ვინაიდან გადაკრული, მიკიბულ-მოკიბული იყო და არა პირდაპირი.

ამის შემდეგ ნება მაქვს ვსთქვა, რომ „თაგუნას" ჰუმორის ისარმა მიზანს ვერ მიაღწია და, პირიქით, დათვური სამსახური გაუწია მას, ვისი სახელის განდიდებისათვისაც ჩემი სახელის განქიქება მოისურვა.

რასა იქმ? ჩვენში ყველა პუბლიცისტია, ვინც კი პუბლიცისტობას იჩემებს და ყველა ჰუმირისტია, ვინც კი მხოლოდ ხუმრობს! მე კი, მართალი მოგახსენოთ, „თაგუნას" ჰუმორი არაოდეს არა მწამებია, ვინაიდან ჰუმორი ანარეკლია იმ ღვთაებრივი ცეცხლისა, რომელიც ანთია ლიტერატორის გულში, მაგრამ,—ბოდიშს ვიხდი ამ თქმისათვის,—სრულიად არა ასინათლებს „თაგუნას" სახუმარო ნაწერებს.

მაგრამ, ვთქვათ, ვცდები და წარმოვიდგინოთ, რომ „თაგუნა" დიდი ჰუმორისტია. ჩემ სახელთან რა-ღა საქმე აქვსთ ან „თაგუნასა" და ან სხვა გაზეთების პატრონებსა და თანამშრომლებს? ვინ მისცათ უფლება, ჩემი სახელი რომ გააქვთ და გამოაქვთ?!

„კავკაზსკოე სლოვო" რომ აცხადებს, ვითომ მე ნ. ჟორდანიას ქრთამის აღება დავაბრალე, ნუ თუ მოვალე არ იყო შეემოწმებია „თაგუნას" მიერ შეთხუზული ჭორი?!

და „ჩერნი" რომ ბძანებას („ვოზროჟდენიეში"), „თაგუნამ" გაზ. „სამშობლოს" თანამშრომლებს (ე. ი. მე) მწარედ დასცინაო. რატომ არ გაიგო, ჰქონდა თუ არა მის მიერ მოწონებულ ჰუმორისტს" ამის უფლება?! რისთვის უნდა გავმხდარიყო საცინლად ასაგდები?! როდის დავსწერე რამე ნოე ჟორდანიას პირადობის შესახებ და რა დავაბრალე მას?! კეთილ ინებონ და მომცენ ამის პასუხი „კავკაზსკოე სლოვომ" და „ვოზროჟდ." თუ არა ეს საზიზღარი ცილის წამება უკანვე დაიბრუნონ! იცოდენ კი, რომ მე ამ საზიზღარ ცილის წამებას არ მოვითმენ!

ყველაზე უფრო კი, მართალი მოგახსენოთ, გაზ. „ალიონის" რედაქცია მაკვირვებს: რომ „თაგუნას" ბოდიში გამოუწმინდოს, ვინ იცის, რას არ მაბრალებს (იხ. 25 მაის. ნუმერი): „ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ. — ამბობს რედაქცია — რომ თაგუნას ჰუმორისტული ფელეტონი ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ გავრცელებულ ჭორებს და მათ შემთხვეველი დასცინოდა და არა ნ. ჟორდანიასო". „ალიონის" რედაქციის წევრებო! ლიტერატურული, მოქალაქობრივი და ადამიანური სინიდისი და მართებულება გავალებსთ გამოაცხადოთ საქვეყნოდვე; სად, როდის და რა მოვჭორე ნ. ჟორდანიას სახელის დასამცირებლად?! თუ გწამსთ, რომ მოპირდაპირის სახელი უსამართლოდ ლაფში არ უნდა ამოსვაროთ ეს უთუოდ უნდა ქმნათ, და, მეორე, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჯერ სული მიდგია და პასუხის გაცემა შემიძლია. მაშ იქონიეთ მოქალაქეობრივი გამბედაობა და არ დაიდუმოთ ენა! დაასახელეთ თქვენი ბრალდება! და, თუ დაამტკიცებთ, რომ ჩემი ოცდაათი წლის ლიტერატურ. მოღვაწეობის განმავლობაში ნ. ჟორდანიას პირადობის წინააღმდეგ რამე დამიწერია, ჩემს საქციელს მევე დავგმობ და თუნდა „თაგუნა" დიდ ჰუორისტად აღვიარებ!

მაგრამ განა არ ვიცი, რომ პასუხს ვერ მომცემთ? ტყუილს ხომ ვერ შესთხზავთ?

ცხადია: „თაგუნა" თავის ჩვეულებას მოიშლის და კვლავ აწრიპინდება. მაგრამ ხსენებული „სკანდალის" შემდეგ ვინღა დაუგდებს მას ყურს?.

**ვასილ წერეთელი.**

## ეროვნული კითხვა.

**ფინეთი.**

ადგილობრივი პრესა არჩევს თანამედროვე მდგომარეობას და ამბობს- „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსული გაზეთები, რომლებიც ჩვენი ერის განთავისუფლებისაკენ მისწრაფებას მხოლოდ ბურჟუაზიულ კლასებს აკუთვნებდნენ, ეხლა იძულებულნი იქმნებიან იცნონ, რომ ამ მისწრაფებას ჩვენი სოციალ-დემოკრატებიც

უქერენ მხარს. პარტიათა განსაზღვრის ცდა მუდამ უნაყოფოდ ჩაივლის„. „სვენსკა-ტიდნინგენ“ი სწერს: „განახლებული რუსეთის მთავრობა მზათ არის დაარღვიოს ფინეთის მიმართ მისგანვე გამოცხადებული აქსიომა ერთა თვითგამორკვევისა“.

**მთიელნი.**

აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია 26 წევრი, მათგან 11 მთიელი, სამი უცხო ეროვნებისა, 12 ქ. კავკავის და მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები ჯგუფიდან ოთხ-ოთხი.

**უკრაინელთა ულტიმატუმი.**

დონისროსტოვიდან იუწყებიან, რომ ჯარის კაცთა და აფიცერთა დეპუტატების საბჭოს დადგენილება ჯარების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, უკრაინელებმა არ მიიღეს. მათ საპასუხოდ უკრაინელმა ჯარის კაცებმა და პროფესორ დანილევიჩმა დემონსტრატიულად ორკესტრი დაუკრეს და ჩაშალეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დღის კრება. უკრაინელებმა ულტიმატუმი წარუდგინეს, მოგვეცით იარაღი, ამუნიცია და თავშესაფარიო. თუ უარს გვეტყვით, კიევში წავალთო. საბჭოს ვადად 1 საათი მისცეს. საბჭომ უკრაინელთა თხოვნა უკუ აგდო.

**გლეხთა ყრილობა და ეროვნული კითხვები.**

საფრონტო ყრილობაზე მიიღეს რეზოლუციები ეროვნული კითხვების შესახებ. აღიარეს ერთა თვითგამორკვევის უფლება, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, მშობლიურ ენის ხმარება სასამართლოში და საადმინისტრაციო დაწესებულებათა შორის. კითხვების საბოლოვო გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებას მიენდო.

## სუხომლინოვის საქმე

იუსტიციის მინისტრმა დროებით მთავრობას სუხომლინოვის შესახებ შემდეგი მოხსენება წარუდგინა: სამხედრო მინისტრობის დროს, როდესაც გერმანეთ-რუსეთის და სხვა სახელმწიფოთა ომი დაიწყო, სუხომლინოვმა სამხედრო მასალის შესაძენად სათანადო ზომები არ მიიღო, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჯარი თავის მოვალეობას ღირსეულად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა, თუ სამხედრო მასალით უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამის გამო ის უნდა მიეცეს სისხლის სასამართლოს დებულების 108 მუხლის ძალით. 1) შეიარაღებული ჯარი უთვალყურო დასტოვა, რამაც ჯარის დაქვეითება გამოიწვია. 2) ყოფილ იმპერატორს ჯარის შეფერხების შესახებ ყალბი განმარტება წარუდგინა და ზოგი რამ დამალა, რამაც ხელი შეუწყო ჯარის დამარცხებას. ეს მან ჩაიდინა პირადი ინტერესების გულისთვის. საქმე შეეხებოდა ჯარის შეიარაღებას შნეიდერის სისტემის სამთო ზარბაზნებით. 3) 1915 წლის თებერვლის 10 სამინისტროთა საბჭომ მოისურვა კერძო თოფხანის მოწყობა, ამ თოფხანისათვის 3 მილიონი თოფი უნდა შეეკვეთნათ. სუხომლინოვმა თავისი სურვილით ამ ქარხნის გამგეობა „რუსეთის საქციონერო საარტილერიო საზოგადოების“ გამგეს გალინსკის ჩააბარა. 4) 1911 წლის სექტემბრიდან 1912 წლის აპრილამდე, პოლკოვნიკ სუხომლინოვს გადასცა სახელმწიფო საყურადღებო ცნობები, თუმცა კარგად იცოდა, რომ მიასოედოვი გერმანეთის აგენტი იყო! ეს ცნობები შეეხებოდენ რუსეთის სამხედრო მდგომარეობას და უცხო სახელმწიფოს ისინი ხელში არ უნდა ჩავარდნოდა. 5) 1909 წ. მარტის 11 1915 წ. მარტის ბოლომდე ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომს ალტშილერს, რომელიც დაქირავებული სამხედრო აგენტი იყო ავსტრო-უნგრეთის მთავრობისა, ყოველგვარ ცნობებს აძლევდა და საკითხებისას და რუსეთის შინაგან სამხედრო საიდუმლოებას ფარდას ჰხდიდა. 6) როცა რუსეთს გერმანეთმა ომი გამოუცხადა, სუხომლინოვმა პოლკოვნიკ მიასოედოვს წერილი მისცა, სადაც იგი ამბობდა, რომ მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ იგი სამხედრო სამსახურში იქნეს მიღებულიო. ამით მან ხელი შეუწყო მიასოედოვს, რომ მას მტრისათვის რუსეთის ჯარის შესახებ ცნობები მიეცა. 7) 1914 წლის აგვისტოში ნიკოლოზ გოშკევიჩს და ვასილ დუმბაძეს, რომელნიც სამხედრო უწყებაში არ მსახურეადენ, გადასცა ცნობები რუსეთის ჯარის დაჯგუფებისა და მობილიზაციის შესახებ და სხვა. 8) 1912 წ. მაისის 21-ს ყოფილ იმპერატორს ერთი მოხსენება მიართვა. ამ მოხსენებაში განზრახ ცრუ ამბები მოათავსა, ვითომც მიასოედოვს სამხედრო საიდუმლო მიწერ-მოწერაში და სამხედრო კონტრ-ზვერაში ხელი არ ერია და საერთოდ რამე სამხედრო საზვერი საქმე მას ჩაბარებული არა ჰქონდა. ეკატერინე სუხომლინოვისას კი ის ბრალდება, რომ იგი სუხომლინოვს მიასოედოვი და ალტშილერის დაახლოვებას ხელს უწყობდა და ამით დანაშაულის ჩადენას უადვილებდა.

### საადგ. მამულთ. ბანკის რწმუნებულთა კრება.

28 მაისი. კრება გახსნა ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა ს. გ. მიქელაძემ. თავმჯდომარემ კრებას მომენტის შესაფერი სიტყვით მიმართა და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ თავისუფლებისთვის განწირულთა ხსოვნისათვის.

კრების თავმჯდომარედ აირჩიეს პ. ი. მოსიძე მდივნად დ. ბ. მდივანი. მოხსენება წაიკითხეს ბანკის გამგეობის წევრებმა და ზედამხედველმა კომიტეტმა. საფინანსო ანგარიში ერთხმად იქნა დამტკიცებული. მოხსენებიდან სჩანს, რომ გასულ წელს 110 ათასი მანეთი წმინდა მოგება დარჩენია. შემდეგი კრება დაინიშნა 29 მაისისათვის საღ. 7 საათზე.

## მოწერილი ამბები.

**ს. სვირი.** (ქუთაისის მაზრა)

21 მაისს ს. სვირში მოხდა ხელ-მეორედ ახალი არჩევნები. აირჩიეს აღმ: კომიტეტის წევრი და სამი მათი კანდიდატი.

22 მაისს მოწვეული იყო ს. სვირის კოოპერატიული ამხანაგების „განათლების“ წევრთა კრება. ეს „ამხანაგობა“ დაარსებულია და მოქმედებაც დაიწყო ამა წლის ექვსი თებერვლიდგან. კრებაზე დაესწრო წევრთა უმრავლესობა. განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ მოხსენება გააკეთეს, როგორც გამგეობამ, აგრეთვე სარევიზიო კომისიამ.

აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას დღემდი ყოლია 438 წევრი; საპაიო და საწევრო გადასახადი არის დაწესებული 11 მან. თავის მოქმედების დღიდგან გამგეობას გადაუნაღდებია 24 ათასი მანეთის საქონელი; წმინდა მოგება 1032 მანეთი, რაც შეადგენს 4, 3 პროცენტს მოგებას და რაც ზედმეტ მოგებათ უნდა ჩაითვალოს; მაგრამ ეს იმისი ბრალია, რომ გამგეობას არ ქონია ნორმა ადრიანად შემუშავებული მოგების რაოდენობისა და ვარაუდათ ხელმისაწდომ ფასებში უძლევია საქონელი წევრთათვის.

**მ. სვირელი.**

## რუსეთი.

**ოფიცერთა ფიცი.**

ქ. მოსკოვში ოფიცერთა საბჭოში მოხდა ყრილობა, რომელსაც დაესწრენ 1 გრენადერთა დივიზიის დელეგატები. დელეგატებმა დაასურათეს ის უნუგეშო და უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ამ ჟამად რუსის ლაშქარი. ჯარისკაცი ასტაფიევი აღნიშნავდა რომ ზურგს უკან ხალხი მიტინგებს და უსარგებლო ლაყბობას ანდომებს მთელ ენერგიას. მოქმედ ჯარს გული გაუტყდა მას არ ეშველებიან, ყველა გაურბის სიკვდილს და ზურგს უკან ერთმანეთს პატრიოტობას ეფიცებიან მომქმედ ჯარს შიან, მოქმედ ჯარს სწყურია, ფეხშიშველაა, ტანთ დაფლეთილი ძონძი აცვია. ასეთ მდგომარეობაში როგორ იბრძოლოს. ჩვენი ჯარის კაცები იძულებული გახდენ მოსისხლე მტერთან დაძმობილობა დაეწყოთ. ეს ერთი მხრივ ბნელი აგიტაციის ბრალიც იყო. დღეს ხომ ყველასათვის ცნობილია, თუ რა საზიანო ნაყოფი მოგვიტანა მტერთან დაძმობილებამ. გერმანელებმა მარჯვეთ ისარგებლეს ჩვენი დაშლილობით მოგვატყუეს და ერთ ადგილას 1000 კაცი მოგვიწამლეს, ბევრი კიდევ ტყვეთ გაირეკეს. როდესაც როტები ბრძოლის ველზე მიდიოდენ; მათ გზაში ბნელი ძალები ხვდებოდენ და არწმუნებდენ, რომ ბრძოლის ველზე წასვლა საჭირო არ არის, იქ ყველაფერი მორიგებით დამთავრდა, ამის გამო ჯარი იშლებოდა და ჩვენთან მხოლოდ ერთი როტის უფროსი-ღა მოდიოდა. ვინ ვერ მიხვდება თუ რას უმზადებთ ჩვენ ქვეყანას, თავისუფლება კი არა ირგვლივ ჯოჯოხეთი გამეფდება. გერმანელები ნიკოლოზზე უფრო გვაწამებენ. ჩაუფიქრდეს ყველა ამას და მყისვე შეუდგეთ ფრონტის საქმის გამობრუნებას, თორემ რუსეთი იღუპება. ვინც სამშობლოს ერთგულია დღეს გამოჩნდება!!..

ჯარის კაცის სიტყვამ საერთო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ყრილობაზე მყოფმა ოფიცრებმა (რიცხვით 200) ფიცი დასდეს დაუყონებლივ წავიდენ ფრონტზე და სამშობლოს საქმით დაუმტკიცონ ერთგულობა. ოფიცრები აცხადებენ, რომ თუ ვინცობაა, მათ სამხედრო უწყება ჯარს არ გაატანს ბრძოლის ველზე იგინი დამოუკიდებლად წავლენ და რუსეთის საკეთილდღეოდ სახელოვნად დაიხოცებიან.

**ა ნ ა რ ქ ი ა.**

კიევში დეზერტირები ყოველ დღე „რბევას“ ახდენენ. დალეწეს მაღაზიები და მიესიენ შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობას. მილიციას დეზერტირებთან იარაღით შეტაკება მოუხდა. დაჭრილია 18 კაცი. შეიპყრეს ოთხი ათასი დეზერტირი. ამავე დღეს ქალაქის მახლობლად დააკავეს 12 ათასი დეზერტირი, რომლებიც გუნდ გუნდათ დადიოდენ და ქალაქის დარბევას აპირებდენ.

**ხარკოვი.**

16 მაისს დეზერტირებთან შეტაკება მოხდა. მოკლულია 8 კაცი. ქალაქში დიდი შიშია. მცხოვრებნი თავისუფლად ველარ დადიან.

**ხალხის სამართალი.**

ხალხის მიერ სამართლის დადებამ რუსეთში ფართე ხასიათი მიიღო. სარატოვის გუბერნიაში გლეხებმა დაიჭირეს ქურდები და დახოცეს.

**ოქრო რუმინიიდან.**

სპეციალ მატარებლით რუმინიიდან ქ. ოდესაში ჩამოიტანეს 30 მილიონი ფრანკი ოქრო.

**შეტევას თხოულობენ.**

ჰელსინგფორსის ყრილობაზე ბალტიის ფლოტის მეზღვაურები მოითხოვენ, რომ საჩქაროდ დაწყებულ იქმნას მტრის წინააღმდეგ შეტევა.

**იტალიელი სოც. დემოკრატები.**

რუსეთში მოვიდენ იტალიის სოციალ-დემოკრატები; კაპა, ლორდა, ლადრიელა, რეიმონდი და კარალიდი.

**გ. პლეხანოვის განცხადება.**

გაზ. „ედინსტვო“-ს ფურცლებზე გ. პლეხანოვი აცხადებს. ,,როგორც მე გავიგე ის ემიგრანტები, რომელთაც გერმანეთში შეიარენ და შემდეგ რუსეთში ჩამოვიდენ გაზ. „ედინსტვო“-ს რედაქციაში შემოდიან და ჩემს მისამართს ჰკითხულობენ. მიმიტოვონ ამხანაგებმა და მე მათ საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ მათ შეხვედრა ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია.

**ორგინალი გასამართლება.**

პეტროგრადში ყაზარმაში ჯარის კაცებს ქურდმა 2 წყვილი ჩექმა და 5 გირვანქა შაქარი მოჰპარა. ჯარის-კაცებმა ქურდი დაიჭირეს, დააკრეს ზურგზე ნაპარავი და სამჯერ ჩაატარეს ნევის პროსპექტზე. ქურდი იძახდა „მე ქურდი ვარ შემარცხვინეთ, მაგრამ მაპატიეთ, გამოვსწორდებიო“. ჯარის-კაცებმა წაიყვანეს ქურდი, პური აჭამეს და გაუშვეს.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.**

25 მაისს პეტროგრადში ღამით ჩხრეკა მოხდა. დააპატიმრეს ცნობილი რუსი ჟურნალისტი ბაიანი. გაჩხრიკეს აგრეთვე სხვა ჟურნალისტების ბინებიც.

**იძულებითი სესხი.**

ფინანსთა სამინისტროში თათბირია, რათა გამოსცენ 10 მილიარდიანი სავალდებულო და იძულებითი სესხი.

**„კრონშტატი“.**

„ნოვოე ვრემია“ სწერს: კრონშტატი ისევ გამდგარია. იგი მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სცნობს მთავრობად. კრონშტატში იყვენ სოციალისტი მინისტრები, წერეთელი და სკობელევი, რომელთაც ვერაფერი ვერ მოაგვარეს.

**რათ დაატუსაღეს ჟურნალისტი კალიშკო?** (ბაიანი) საღამოს გაზეთებმა გადმოცემ ითკალიშკო შემდეგის მიზეზით დაუტუსაღებიათ. სამრეწველო უწყებას ცნობა მიუღია, რომელიც ამბობს, რომ კალიშკო სცხოვრობდა, ქ. სტოკჰოლმში და მუდმივი დამოკიდებულობა ჰქონდა გერმანეთის დესპან ლიუციუსთან, აგრეთვე ის იყო საიდუმლო აგენტი პროტოპოპოვისა და ტრეპოვ.სა.

**მიწის კითხვის გარშემო.**

მოგილევის გლეხთა ყრილობა დასრულდა. მიწის კითხვის შესახებ გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია: საბოლოოდ მიწის კითხვის გადაჭრა დაეთმოს დამფუძნებელ კრებას. დაადგინეს ებრძოლონ აგრალურ ექცესებს და რაც შეიძლება დაიმუშაონ მიწები.

**სოფ. „კუტკოვის წრე“.**

ვლადიმირის გუბერნიაში სემინარიის მოწაფე მ. ლავროვის მეთაურობით შესდგა წრე, რომლის მიზანიც არის, ხალხში შესპობა ისეთ სიტყვათა ხმარებისა (ბურჟუა ნაციონალისტი) რომელიც გაუნათლებელ მასაში მღევარებას იწვევენ. წრე ქადაგებს, რომ დაგმობილ იქნას ქუჩებში გამოსვლები, სკანდალები, სუსტ პარტიების შეურაცხოფა. წრემ აღმასრულებელი კომიტეტი უკვე აირჩია და მოქმედებაც დაიწყო..

წრის მთავარი კომიტეტი იმყოფება სოფ. კუტკოვში.

## წერილი რედქციის მიმართ

ხორაგაულის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ტ. თაბუკაშვილისაგან მივიღეთ შემდეგი ოქმი, რომელსაც მისი თხოვნისამებრ ვბეჭდავთ.

**ს. ხარაგაული.** გაზეთი „ჩვენი ქვეყნის“ 17 მაისის № 30 დაბეჭდილია კორესპონდენცია მ. ფარცხნალელისა სათაურით „ხარაგაულის რაიონი“, სადაც ვინ გინდათ არ არის ცუდათ ნახსენები: საზოგადოება, კომიტეტი და „ტყის უფროსი (лѣсничій).

ამ კორესპონდენციის შინაარსის შესახებ აღმასრულებელ კომიტეტს ქონდა მსჯელობა და დაადგინა: ეს წერილი თავიდან ბოლომდის ცილის წამებაა და სრულიად შეუფერებელი დღევანდელი მომენტისათვის.

„ხარაგაულის რაიონში ძველი მთავრობის სული ტრიალობ-“სო. საიდან სჩანს ეს? ნუ თუ იქიდან. რომ მიხლამოხლა არ არის? დღეს. ვფიქრობთ, სიწყნარისა და მშვიდობიანობის დაცვაა საჭირო მოპოებული თავისუფლების განსამტკიცებლად და ამ მხრივ კომიტეტს ვერავინ ვერაფერს ვერ უსაყვედურებს: არა ერთი და ორი საკითხი გარჩეულა კომიტეტში ისეთი, რასაც გამწვავება და არევ-დარევა შეეძლო გამოეწვია, თუ რიგიანათ არ გადაწყვეტილიყო. კომიტეტი შეძლებისდაგვარ ყველას პასუხს აძლევდა და აკმაყოფილებდა. ხარაგაულის მამასახლისის გამოცვლა თუ სურდა. საზოგადოებას, ყრილობა ბევრჯელ იყო და შეეძლო ეს ექნა. თუ კომიტეტზე ცუდ ხმებს ვინმე ავრცელებდა და ან საქმით ჩადიოდა ისეთ რასმეს, რასაც ვითომ კომიტეტის სახელის დამცირება შეეძლო, ამას თავისი ფარული მიზანი ქონდა. უსაფუძლოა კორესპონდენციის ის აზრი, ვითომ ხარაგაულს „905—6 წ. ყავდა ენერგიული მომუშავენი და დღეს კი არა. ვარწმუნებთ წერილის ავტორს, რომ დღეს არა ნაკლები ენერგიის პატრონი გულშემატკივარნი ყავს ხარაგაულს, მხოლოდ რაგვარია მუშაობა, ამას რიგიანი მსჯავრის დადება და დაფასება უნდა.

„აქაური ლესნიჩი ლოდათ აწევს, ხალხს ავიწროებს, ტანჯავს, სულითა და გულით ძველი მთავრობის მოხლეა-“ო და სხვა. კომიტეტის თვითეული წევრი კარგათ იცნობს ამ მოხელის მოქმედებას და ამიტომ მათ თავის ზნეობრივ და მოქალაქობრივ ვალდებულებათ მიაჩნიათ პროტესტი ვანაცხადონ ისეთ ბრალდებაზე: არავისი კანონიერი უფლება „ლესნიჩს“ არ შეუზღუდავს და ტყის მასალით სარგებლობა არ დაუშლია, რის დამტკიცება დოკუმენტებით შეიძლება და სულ ტყუილია, „გამხმარი ფიჩხის გამოტანის ნებას არ აძლევენ-“ო. პირდაპირ აუტანელი ბრალდებაა, „ლესნიჩი“ სულით და გულით ძველი მთავრობის მოხელეა-“ო. საიდან სჩანს ეს? მართალია, რომ ის ტყეს კარგათ იცავს, კარგათ უვლის, „აბეზარების“ მოქმედებას სასტიკათ თვალ-ყურს ადევნებს, მაგრამ ამისათვის ის მხოლოდ მადლობის ღირსია! სხვანაირი აზრი ამ საგანზე შეიძლება [illegible] ვისაც ტყის [illegible] ემის. საქმე რომ ისე წასულიყო, როგორც მასი [illegible] ხელში, [illegible] ჩვენ ,,მდიდარი“ ლესნიჩებიც გვინახავს და გაგვიგონია, ჩვენი ლესნიჩი კი პროლეტარია.

არ შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ აგერ 25 წელიწადია, რაც ეს ადამიანი სულითა და გულით ცდილობს შეძლებისდაგვარ ხალხში მეურნეობის ცოდნა გაავრცელოს: არიგებს მუქთად საუკეთესო საბოსტნე თესლებს, აცნობს ხალხს სხვადასხვა სამკურნალო მცენარეს, გატაცებით აძლევს მსურველთ დარიგებას და დიდათ ხელი შეუწყო მეფუტკრეობის გავრცელებას: ბევრი მისი მოწაფე კარგათ გაცნობილია საჭირო ხელსაწყოს მეფუტკრეობისათვის, რაც მას თითქმის უნაკლულოთ აქვს საფუტკრეში; ბევრი ლამაზათ აკეთებს სკებს და ცოტა ფულს არ იღებს თაფლში. გულს დაგიტკბობსთ მისი საფუტკრისა და ბოსტნის ნახვა, რომელიც მას ერთ ადგილას კლდეზედაც კი აქვს გაშენებული. ხეხილიც აქვს სანიმუშოთ გაშენებული. არა, ამნაირი პიროვნების ასე ცუდათ ხსენება არ არის საკადრისი, მეტი რომ არა ვთქვათ.

კორესპონდენტი ამბობს: ,,ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესი-‘‘ო. ჩვენ კი გვგონია, ამნაირი წერილები რევოლუციისათვის მავნებელია.

კომიტეტის ეს დადგენილება გამოცხადდეს გაზეთში.

ხარაგაულის აღმასრულებელი კომიტეტი.

22 მაისი 1917 წ.

**ს. ხარაგაული.**

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. ქვირქელია.**

## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | - საღამოს | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | - - დილის | 11 ს. — | „ |
| „ | - ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | - საღამოს - - | 7 ს. 5 | „ |
| „ | - დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

# „განათლება“

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია